



# საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2015 წლის 7-9 მაისი)



## სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა.....	4
3. უსაფრთხოება.....	8
4. პატიმრობის პირობები .....	16
4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა .....	16
4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები .....	17
4.3. პატიმართა დასაქმება .....	19
5. სამედიცინო მომსახურება .....	20
6. კვება და სასმელი წყალი .....	26
7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება .....	28
8. კონტაქტი გარე სამყაროსთან .....	32
9. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სხვა საკითხები.....	36

## 1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 7-9 მაისს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში განხორციელებული განმეორებითი<sup>1</sup> საკონტროლო ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების<sup>2</sup> ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში.

ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. N3 დაწესებულების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი იყო მათ ხელთ არსებული და ჯგუფის მიერ მოთხოვნილი, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

დაწესებულებაში არის 47 საკანი (განკუთვნილი 2, 4 და 6 პატიმრის განთავსებისთვის) და ერთი 8 საწოლიანი საკანი სამეურნეო ნაწილში დასაქმებული პატიმრებისთვის. ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 193 პატიმარი, მათ შორის, 104 მსჯავრდებული და 89 ბრალდებული, აქედან 5 ბრალდებული ქალი. 2015 წლის 7-9 მაისის მდგომარეობით, 2014 წლის 23-24 ოქტომბრის მდგომარეობასთან შედარებით გაზრდილია პატიმართა საერთო რაოდენობა, დაკლებულია ბრალდებულთა რაოდენობა, ხოლო მსჯავრდებულთა რაოდენობა გაზრდილია.<sup>3</sup>

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პატიმრების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემებია. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა ფაქტობრივად არ შესრულებულა.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მიესალმება სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სწავლებას მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, თუმცა ტრენინგების ჩამონათვალი ნაკლებად რელევანტურია N3 დაწესებულებაში არსებულ არასათანადო მოპყრობისა და უსაფრთხოების რისკებთან მიმართებით, ვერ პასუხობს ობიექტურად არსებულ საჭიროებებს.

მწვავედ დგას არასათანადო მოპყრობის პრევენციის საკითხი. ვიზიტის დროს აშკარა იყო თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება, რაც პატიმრების

<sup>1</sup> სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2014 წლის 23-24 ოქტომბერს.

<sup>2</sup> სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ლევან ბეგიაშვილი, გიორგი ჩარკვიანი, ხათუნა ბაგრატიონი, სოფია ნემსიწვერიძე და ნანა იდაძე

<sup>3</sup> 2014 წლის 23-24 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში იმყოფებოდა 87 მსჯავრდებული და 93 ბრალდებული.

არასათანადო მოპყრობის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. დაწესებულებაში მიღებული დაზიანებების დოკუმენტირება სამედიცინო პერსონალის მიერ კვლავაც ხარვეზებით მიმდინარეობს.

არაპროპორციულად და დაუსაბუთებლად ხდება უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება. დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (განცალკევება, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა), რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებაში, ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნის მიღწევას. შედეგად, დაწესებულებაში რჩება დამაბული და კონფლიქტური სიტუაცია, თვითდაზიანების, ძალადობისა და აგრესიის გამოვლენის მაღალი რისკი.

საგულისხმოა, რომ გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი. სამწუხაროდ, ისევ აქვს ადგილი ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა სამართლო საკანში მოთავსებას. პრობლემად რჩება სამედიცინო მომსახურებაზე სათანადო ხელმისაწვდომობის არ არსებობა. არ ხდება სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების მედიკამენტებით სათანადო მომარაგება. დაწესებულებაში არ არის მენიუ დიაბეტით დაავადებული პატიმრებისთვის. საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები.

კვლავაც პრობლემად რჩება დაწესებულების ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, არ მომხდარა პატიმრების სათანადო ხელოვნური ვენტილაციით, ბუნებრივი განათებითა და მუდმივი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

დაწესებულებაში პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად დაწესებულებაში არ არსებობს საკმარისი რესურსი. პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით.

N3 დაწესებულებაში განთავსებისას პატიმართა ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა აფერხებს პაემნის უფლებით სარგებლობას. ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინიმალური გადატიხრულ ოთახებში, რის გამოც პატიმარი თავის ოჯახის წევრებთან ფიზიკურ კონტაქტს ვერ ამყარებს. სატელეფონო ზარი საკმარისი რაოდენობითა და კონფიდენციალურობის დაცვით ვერ ხორციელდება. არ ხდება დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება.

## 2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

2015 წელს N3 დაწესებულებაში მყოფმა ორმა პატიმარმა მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. ისინი მიუთითებდნენ დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან

მათ მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის და ფიზიკურ ძალადობის ფაქტების შესახებ. ორივე შემთხვევაში მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის ორგანოს. უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფს ფიზიკური ძალადობის შესახებ სხვა შეტყობინება არ მიუღია.

მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, სხვა რისკ ფაქტორებთან ერთად, არასათანადო მოპყრობის შემდეგი რისკ ფაქტორები არსებობს:

- ❖ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა არ იციან საკუთარი უფლებამოსილების ფარგლები
- ❖ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს არასწორად ესმით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უსაფრთხოების ცნება და არ გააჩნიათ უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების დროს ღონისძიების პროპორციულობის შეფასების სათანადო უნარი
- ❖ პატიმრებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს შორის არ არის კეთილგანწყობილი ურთიერთობა
- ❖ არ არსებობს სამედიცინო პერსონალის მიერ არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა ამსახველი, სრულყოფილი დოკუმენტირების პრაქტიკა

2014 წლის 23-24 ოქტომბერს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, რომლის საფუძველზე შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება. ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება.
2. არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით, უზრუნველყოს ობიექტური შიდა მონიტორინგის განხორციელება, გაატაროს მკაცრი ზომები იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არაჯეროვნად ასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებას არასათანადო მოპყრობის პრევენციის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევის დოკუმენტირების კუთხით.
3. შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე.

განხორციელებული შემოწმების შედეგად მონიტორინგის ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები ფაქტობრივად არ შესრულებულა და მეტიც, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ამჟამად უფრო მწვავედ დგას არასათანადო მოპყრობის

პრევენციის საკითხი. დღეის მდგომარეობით, N3 დაწესებულებაში არსებობს ზემოთ მითითებული რისკ ფაქტორების ერთობლიობა, განსაკუთრებით კი თანამშრომლებსა და პაციმრებს შორის დაძაბული, კონფლიქტური ურთიერთობა, რაც დაწესებულებაში მყოფი პაციმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

2015 წლის 23-24 ოქტომბერს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის შესახებ ანგარიშში ასახული საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები ითვალისწინებდა სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების თანამშრომლების პროფესიულ სწავლებას. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2014-2015 წლების მანძილზე, N3 დაწესებულების თანამშრომლებმა გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

N	ტრენინგის დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
<b>2014 წელი</b>		
1.	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია	33 თანამშრომელი <sup>4</sup>
2.	ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის პროგრამების დანერგვა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ნივთიერებათა ავად მომხმარებელი პაციმრებისთვის	5 თანამშრომელი <sup>5</sup>
3.	პირველდაწყებითი საბაზისო მომზადება	11 თანამშრომელი <sup>6</sup>
<b>2015 წელი</b>		
4.	სუიციდის პრევენცია	4 თანამშრომელი <sup>7</sup>
5.	უსაფრთხოების თანამშრომელთათვის სპეციალური სასწავლო პროგრამა	1 თანამშრომელი <sup>8</sup>
6.	ტრენინგის ჩატარების უნარ ჩვევები	1 თანამშრომელი <sup>9</sup>
7.	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია	6 თანამშრომელი <sup>10</sup>

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მიესალმება სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სწავლებას მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, თუმცა აუცილებელია

<sup>4</sup> დირექტორი, დირექტორის 2 მოადგილე, სოციალური განყოფილების უფროსი და 5 თანამშრომელი (მათ შორის ფსიქოლოგი), სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების 10 კონტროლიორი, ამავე განყოფილების 7 მთავარი ინსპექტორი და 1 ინსპექტორი, უსაფრთხოების განყოფილების 6 ინსპექტორი.

<sup>5</sup> სოციალური განყოფილების უფროსი, ფსიქოლოგი და 3 სოციალური მუშაკი.

<sup>6</sup> სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების 1 უფროსი ინსპექტორი და 10 ინსპექტორი (კონტროლიორი).

<sup>7</sup> უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლები.

<sup>8</sup> უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი.

<sup>9</sup> ფსიქოლოგი.

<sup>10</sup> სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლები.

ტრენინგებით მიღებული ცოდნის მდგრადობის შენარჩუნება, რაც მისი პრაქტიკაში გამოყენების სუპერვიზიით არის შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრენინგების ჩამონათვალი ნაკლებად შეესაბამება N3 დაწესებულებაში არსებულ არასათანადო მოპყრობის რისკებს და ვერ პასუხობს ობიექტურად არსებულ საჭიროებებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, დაწესებულებაში სათანადოდ არ ხდება უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც ნათლად აისახება კიდევ უსაფრთხოების ღონისძიებების არაპროპორციულად გამოყენების პრაქტიკაში<sup>11</sup> და ზოგადად თანამშრომელთა მუშაობის პრაქტიკაში. ამასთან, აშკარა იყო პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის დამაბული, კონფლიქტური ურთიერთობა. თანამშრომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა პატიმართა მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას, რაც გამოიხატებოდა მიმართვისა და საუბრის ფორმაში.

ვიზიტის დროს დაწესებულებაში დაცული მასალების მიხედვით, 2015 წელს ოთხმა პატიმარმა მიიღო დაზიანება სხვა პირისგან. დოკუმენტებში ასახული მათივე განმარტებებით, დაზიანებები მიიღეს ერთმანეთთან ურთიერთშელაპარაკების შედეგად ჩხუბის დროს.

სამედიცინო პერსონალის მიერ დაწესებულებაში მიღებული დაზიანებების დოკუმენტირება ხარვეზებით მიმდინარეობს. კერძოდ, კვლავ პრობლემურია დაზიანებების სრულყოფილი აღწერა, დაზიანების წარმოშობის მიზეზის მითითება და დაზიანების ხასიათისა და ლოკალიზაციის დაზიანების წარმოშობის მითითებულ მიზეზთან შესაბამისობის განსაზღვრა. დაზიანების აღრიცხვის ჟურნალის მონაცემების მიხედვით, 2015 წლის 1 იანვრიდან 8 მაისამდე დაფიქსირებულია სხეულის დაზიანების 102 შემთხვევა, აქედან თვითდაზიანების 87 შემთხვევა, სხვა პირის მიერ დაზიანების მიყენების 4 შემთხვევა, 5 შემთხვევაში პირს მიაღდა საყოფაცხოვრებო ტრავმა, 1 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სუიციდის მცდელობას, ხოლო 5 შემთხვევაში დაზიანების წარმოშობის მიზეზი მითითებული არ არის.

რაც შეეხება რეკომენდაციას ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადის განსაზღვრაზე და ასეთ ჩანაწერებზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელ დაშვებაზე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

1. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება;
2. არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით უზრუნველყოს ობიექტური შიდა

<sup>11</sup> იხ. ანგარიშის მე-3 თავი.

მონიტორინგის განხორციელება, გაატაროს მკაცრი ზომები იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არაჯეროვნად ასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებას არასათანადო მოპყრობის პრევენციის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევის დოკუმენტირების კუთხით.

### 3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება.

შემოწმების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N3 დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობის გამოყენების პროპორციულობის მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემებია. კერძოდ, სათვალთვალო კამერებით აღჭურვილია ყველა სამართლო საკანი<sup>12</sup>, ყველა ე.წ. „უსაფრთხო საკანი“<sup>13</sup>, სამედიცინო ნაწილში არსებული ყველა საკანი<sup>14</sup> და 4

<sup>12</sup> დაწესებულებას გააჩნია 4 სამართლო საკანი.

<sup>13</sup> დაწესებულებას გააჩნია 4 ე.წ. „უსაფრთხო საკანი“, რომელიც გამოიყენება პატიმართა იზოლირების მიზნით.

<sup>14</sup> დაწესებულების სამედიცინო ნაწილს გააჩნია 3 საკანი.



საერთო საცხოვრებელი საკანი<sup>15</sup>. შესაბამისად, აღნიშნულ საკნებში პატიმრების გადაყვანის საჭიროების წარმოშობისას, მათ მიმართ ყველა შემთხვევაში ხორციელდება ელექტრონული მეთვალყურეობა. ამდენად, მეთვალყურეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყველა შემთხვევაში არ ფასდება, რამდენად პროპორციულია აღნიშნული ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და საერთოდ, არსებობს თუ არა ამ ზომის გამოყენების საჭიროება. მისი გამოყენება ავტომატურად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დაწესებულებას არ გააჩნია ისეთი სამართლო საკნები და სამედიცინო ნაწილის საკნები, რომელიც აღჭურვილი არ არის მეთვალყურეობის სისტემით. აღსანიშნავია, რომ მეთვალყურეობის შეწყვეტაც ხდება არა მაშინ, როდესაც აღმოიფხვრება ამ ზომის გამოყენების საჭიროება, არამედ მაშინ, როდესაც აღარ არსებობს მითითებულ საკნებში პატიმრების ყოფნის საჭიროება ან საფუძველი (მაგალითად, აღარ საჭიროებს ექიმის მეთვალყურეობას ან ამოეწურა დისციპლინური სახდელის სახით დაკისრებული სამართლო საკანში ყოფნის ვადა). ელექტრონული მეთვალყურეობის გამოყენების არაპროპორციულობაზე მეტყველებს ასევე, მათი დაწესების/გაგრძელების/შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობების შაბლონური ხასიათი და დაუსაბუთებლობა<sup>16</sup>. ასე მაგალითად:

- N3 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის შუამდგომლობაში, რომელიც საფუძვლად უდევს დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 23 თებერვლის N243 ბრძანებას მსჯავრდებულ ბ.კ.-ს მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ მითითებულია: „მთავარი ექიმის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მსჯავრდებულ ბ.კ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ესაჭიროება საექიმო სამედიცინო პუნქტში გადაყვანა, განთავსება, დაკვირვება და მკურნალობა. უსაფრთხოების სამსახური ითვალისწინებს რა აღნიშნულს, ასევე გარემოებას იმის შესახებ, რომ სამედიცინო ნაწილის ყველა საკანი აყვანილია ვიდეო კონტროლზე, მიზანშეწონილად თვლის მსჯავრდებულ ბ.კ. განთავსდეს დაწესებულების სამედიცინო ნაწილის საკანში და მისივე ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და ტექნიკური გარემოებების გამო და თანმიმდევრული დაკვირვების მიზნით, მასზე განხორციელდეს ელექტრონული-ვიზუალური მეთვალყურეობა. გთხოვთ თქვენს შემდგომ რეაგირებას.“

ასევე, აღსანიშნავია, რომ შუამდგომლობაში, რომელიც საფუძვლად უდევს ბ.კ.-ს მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 26 თებერვლის ბრძანებას, უსაფრთხოების სამსახური დასაბუთებისას მიუთითებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ ექიმის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია მისი გადაყვანა საერთო საცხოვრებელ საკანში.

- N3 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის შუამდგომლობაში, რომელიც საფუძვლად უდევს დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 13 იანვრის N31

<sup>15</sup> აქედან მხოლოდ 1 გამოიყენება მოშიშშილე პატიმრების გადასაყვანად, ხოლო 3 – პატიმართა იზოლირების მიზნით.

<sup>16</sup> შუამდგომლობა წარმოადგენს მეთვალყურეობის დაწესების/გაგრძელების/შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების საფუძველს.

ბრძანებას მსჯავრდებულ გ.ბ.-ს მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ მითითებულია: „მთავარი ექიმის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, მსჯავრდებული გ.ბ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით საჭიროებს საექიმო-სამედიცინო პუნქტში გადაყვანას მკურნალობის მიზნით. აღნიშნულის გამო გ.ბ.-ს ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე მასზე თანმიმდევრული სამედიცინო კონტროლის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გადაყვანა საექიმო-სამედიცინო ნაწილის საკანში და ელექტრონულ-ვიზუალური მეთვალყურეობის დაწესება. გთხოვთ თქვენს შემდგომ რეაგირებას.“

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ნაწილში პატიმრების გადაყვანის უმეტეს შემთხვევაში, ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ შუამდგომლობების დასაბუთება პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველ ნაწილით (მოსალოდნელი თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად) გათვალისწინებული გარემოებით არ ხდება და შაბლონური ხასიათისაა.

ამასთან, როგორც მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, დირექტორის მიერ ელექტრონული მეთვალყურეობის გაგრძელების შესახებ ბრძანების გამოცემა ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და არ წარმოადგენს დაწესებული მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების პერიოდულად გადასინჯვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, ასეთი ბრძანებები გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი გადაყავთ ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილი ერთი საკნიდან მეორეში.

შაბლონური ხასიათისაა ასევე შუამდგომლობები, რომლებიც საფუძვლად უდევს დისციპლინური გადაცდომის გამო სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრების მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დირექტორის ბრძანებებს. ასეთ შუამდგომლობებში დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილება ძირითადად მიუთითებს, რომ მეთვალყურეობის დაწესება მიზანშეწონილად მიაჩნიათ პატიმრის უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით. არ არის მითითებული თუ კონკრეტულად რა მიზეზების და გარემოებების გამო ან რა საფრთხე შეიძლება შეექმნას მათ ჯანმრთელობას. დაწესებული ელექტრონული მეთვალყურეობაც წყდება შაბლონური ხასიათის შუამდგომლობის საფუძველზე გამოცემული ბრძანებით, რომელშიც მხოლოდ მითითებულია, რომ პატიმარს გაუვიდა სამართლო საკანში ყოფნის ვადა და გადაყვანილ იქნა საერთო საცხოვრებელ საკანში.

2015 წლის 1 იანვრიდან სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტამდე, 2015 წლის 6 მაისის ჩათვლით N3 დაწესებულებაში პატიმრების მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობა განხორციელდა სულ 116 შემთხვევაში, საიდანაც 14 განხორციელდა სამედიცინო ნაწილის საკანში, 15 – მოშიმშილე პატიმრებისთვის განკუთვნილ საკანში, 36 – იზოლირებული პატიმრებისთვის განკუთვნილ (როგორც ე.წ. „უსაფრთხო“, ასევე საერთო საცხოვრებელ) საკანში, 51 – სამართლო საკანში (აქედან 44 შემთხვევაში პატიმარი მოთავსდა დისციპლინური დარღვევის გამო, რომელთაგან 24 პატიმრის მიმართ ასევე უსაფრთხოების ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა 24

საათით სამართლო საკანში მოთავსება, ხოლო 7 პატიმარი მოთავსდა მხოლოდ უსაფრთხოების ღონისძიების სახით 24 საათით).

ვიზიტის მიმდინარეობისას სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა N3 დაწესებულებაში უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და მივიდა დასკვნამდე, რომ მათი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები შაბლონური ხასიათისაა.

პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამართლო საკანში მოთავსება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ შუამდგომლობები, რომლითაც უსაფრთხოების სამსახური ასაბუთებს მითითებული ზომების გამოყენებას ხშირ შემთხვევაში შაბლონურ ხასიათს ატარებს. აღნიშნული ზომების გამოყენების აუცილებლობის არგუმენტად მოყვანილია მხოლოდ ის გარემოება, რომ პატიმარმა დაარღვია წესრიგი და დაიმუქრა თვითდაზიანების მიყენებით, თუმცა რამდენად რეალურია თვითდაზიანების საფრთხე და კონკრეტულად რა გარემოებების გამო, დასაბუთებული არ არის.

ამასთან, პატიმრების განცალკევების და 24 საათით სამართლო საკანში მოთავსების შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემისას, ყველა შემთხვევაში, ერთდროულად ხდება აღნიშნული ღონისძიებებიდან ერთ-ერთის გამოყენება და დამატებით, ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესება. შესაბამისად, მითითებული უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენებისა და მეთვალყურეობის დაწესების საჭიროების დასაბუთებაც დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მიერ ხდება ერთდროულად. თუმცა, როგორც მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, ობიექტური აუცილებლობის გარეშე ერთობლივად ხდება პატიმრების მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესება და უსაფრთხოების ღონისძიების<sup>17</sup> გამოყენება, მაშინ, როდესაც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ერთ-ერთი ზომის გატარება.

<sup>17</sup> პატიმრების განცალკევება ან 24 საათით სამართლო საკანში მოთავსება.

უსაფრთხოების მიზნით პატიმრების განცალკევების საფუძველი და პროცედურები უფრო კონკრეტულად რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებით დამტკიცებული პატიმრობის დაწესებულების დებულების 59-ე და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლებით, რომლის თანახმად,

„1. მსჯავრდებულის/ბრალდებულის პირადი უსაფრთხოებისათვის საფრთხის წარმოშობისას მსჯავრდებულების/ბრალდებულების ან სხვა პირების მხრიდან იგი უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულების ნებისმიერ თანამდებობის პირს ზეპირი ან წერილობითი განცხადებით. ადმინისტრაცია ვალდებულია გაატაროს განმცხადებლის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

2. დაწესებულების დირექტორი ასეთი განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით თუ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტში აღნიშნული საფრთხე, იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის/ბრალდებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის ან მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების შესახებ.

3. მსჯავრდებულის/ბრალდებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა ხდება არა უმეტეს 30 დღის ვადისა დაწესებულების დირექტორის მიერ, ხოლო ოპერატიულ შემთხვევებში - დირექტორის მოსვლამდე დირექტორის მიერ უფლებამოსილი მოადგილის მიერ, მაგრამ არა უმეტეს 24 საათისა.

4. აუცილებლობის შემთხვევაში, უსაფრთხო ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს კიდევ 30 დღით.

5. თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, დაწესებულების დირექტორი დეპარტამენტის წინაშე აღძრავს საკითხს მსჯავრდებულის/ბრალდებულის ან მისი უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე. შესაბამისი საფუძველების არსებობისას ასეთი შუამდგომლობის აღსაძრავად აუცილებელი არ არის 60 დღიანი ვადის ამოწურვა.“

როგორც ვიზიტის დროს შესაბამისი მასალების შესწავლით გაირკვა, N3 დაწესებულებაში პატიმრების განცალკევება ხშირ შემთხვევაში არ ხდება მითითებული ნორმებით გათვალისწინებული საფუძველით (მსჯავრდებულების/ბრალდებულების ან სხვა პირების მხრიდან საფრთხის წარმოშობისას), არამედ აღნიშნული ღონისძიების გამოყენების დასაბუთება ხდება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ პატიმარმა შესაძლოა მიიყენოს თვითდაზიანება და ამასთან, რისკის არსებობის დასაბუთება შეიცავს მხოლოდ მითითებას იმაზე, რომ პატიმარი დაწესებულების თანამშრომელთან შელაპარაკებისას დაიმუქრა თვითდაზიანებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პატიმრების განცალკევების შესახებ ბრძანების გამოცემისას დირექტორი არ მიუთითებს თუ რა ვადით ხდება მათი განცალკევება სხვა პატიმრებისგან და აღნიშნული გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვა არ ხდება.

მსჯავრდებულის მიმართ უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს

ადგენს, კერძოდ, „ევროპული ციხის წესების“ 50.1-ე მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 50.4-ე მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“ 50.5-ე მუხლის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

საქმეში „რამირეზ სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>18</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის იზოლაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განუსაზღვრელი ვადით. უფრო მეტიც, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მსჯავრდებულს შესაძლებლობა ჰქონდეს, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ გადაისინჯოს გამოყენებული ღონისძიების სახე და საფუძვლები.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებით დამტკიცებული პატიმრობის დაწესებულების დებულების 59-ე და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლები იმ პატიმრებს, რომლებიც საკუთარი ნებით თუ ნების გარეშე სხვა მსჯავრდებულებისგან განცალკევებით თავსდებიან, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიებით, რომელთა მიზანია, დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შესაძლო თვითნებობის შემთხვევაში, ხანგრძლივი იზოლაციით მათი უფლებების დარღვევის დაუშვებლობა. კერძოდ, მოცემული ნორმა ცალსახად ადგენს პატიმრების განცალკევების მიზანს – მათი უსაფრთხოების დაცვას, განცალკევების ვადას და ამ ვადაში აღნიშნული ღონისძიების არაეფექტურობის შემთხვევაში, ხელისუფლების ვალდებულებას – გამოიყენოს ალტერნატიული ღონისძიება და პატიმრები გადაიყვანოს სხვა დაწესებულებაში.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, N3 დაწესებულებაში პატიმრების განცალკევება არ ხდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებით დამტკიცებული პატიმრობის დაწესებულების დებულების 59-ე და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურებით. შესაბამისად, განცალკევებული პატიმრები არ არიან უზრუნველყოფილი იმ სამართლებრივი დაცვის გარანტიებით, რომელიც გამორიცხავს ხანგრძლივი იზოლირებით, მათი უფლებების დარღვევას. პატიმრების მიმართ იზოლირების ღონისძიების გამოყენება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის და პროცედურის გვერდის ავლით, რაც პატიმართა უფლებების უკანონო შეზღუდვაა.

რაც შეეხება საკნებს, რომლებშიც ხდება პატიმრების განცალკევება, N3 დაწესებულების ადმინისტრაცია მოიხსენიებს როგორც „უსაფრთხო საკნებს“. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკნები თავისი მოწყობით ფაქტობრივად წარმოადგენს დეესკალაციის ოთახს, რომელთაგან ერთ-ერთში იატაკზე დაგებული ლეიბის და უნიტაზის გარდა სხვა ავეჯი არ დგას. დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსების სამართლებრივი საფუძვლები დადგენილია 2011 წლის 30 მაისის

<sup>18</sup> RAMIREZ SANCHEZ v. FRANCE, 04.06.2006, 59450/00, პარ.145.

N97 ბრძანებით დამტკიცებული პატიმრობის დაწესებულების დებულებით და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით. კერძოდ, გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში ცალკე არის გამოყოფილი დეესკალაციის ოთახი. დებულების თანახმად, თუ მოსაცდელ საკანში განთავსებული ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, დაწესებულების ადმინისტრაციამ იგი შეიძლება განათავსოს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებით მეთვალყურეობის პირობებში. დეესკალაციის ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, სათვალთვალო კამერით, რომლის ხედვის არე არ მოიცავს ტუალეტის ნიჟარას, დისტანციურად მართვადი, დაზიანებისადმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით. დეესკალაციის ოთახში პირის მიმართ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფიზიკური შეზღუდვის ზომები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური საშუალებები. ფიზიკური შეზღუდვა უნდა მოხდეს გონივრული ვადით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული კრიტერიუმების ამოწურვამდე. დეესკალაციის ოთახში პირის განთავსებისთანავე დგება სათანადო დოკუმენტი და გონივრული შუალედებით კეთდება შესაბამისი ჩანაწერები პირის მდგომარეობის შესახებ. ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში განთავსდება განთავსების კრიტერიუმების ამოწურვამდე.

აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულების „უსაფრთხო საკანი“ არ წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ დეესკალაციის ოთახს, რომლის გამოყენების საფუძვლები და პროცედურები დადგენილია ზემოხსენებული ნორმებით. შესაბამისად, N3 დაწესებულების „უსაფრთხო საკნებში“ პატიმრების მოთავსება უკანონოა.

2015 წლის 1 იანვრიდან სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტამდე, 2015 წლის 6 მაისის ჩათვლით N3 დაწესებულებაში პატიმრების იზოლირება მოხდა 36 შემთხვევაში, ხოლო 24 საათით სამართლო საკანში გადაყვანა – 31 შემთხვევაში.

რაც შეეხება სპეციალურ საშუალებებს, პატიმრობის კოდექსის 57<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი.

მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში სპეციალური საშუალებებიდან აქვთ დამაწყნარებელი საწოლი და ხელბორკილი, თუმცა 2015 წელს 15 შემთხვევაში მხოლოდ ხელბორკილი იქნა გამოყენებული. მნიშვნელოვანია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა ხელბორკილის გამოყენება რუტინულ პრაქტიკად არ იქცეს.

2014 წლის 23-24 ოქტომბერს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიმართ შემდეგი რეკომენდაციები გაიცა:

1. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტიანია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან უზრუნველყოფილი იქნას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება.
2. შეისწავლოს ე.წ. „ანტივანდალურ საკანში“ პატიმართა მოთავსების საკითხი და მიიღოს ყველა გონივრული ზომა ამ საკანში პატიმართა უკანონო მოთავსების თავიდან ასაცილებლად.
3. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ხელბორკილის გამოყენება არ იქცეს რუტინულ პრაქტიკად.
4. მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული რეკომენდაციები დღემდე არ შესრულებულა. კერძოდ, ელექტრონული მეთვალყურეობა N3 დაწესებულებაში ხშირ შემთხვევაში ხდება არა მისი საჭიროების, არამედ დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური მოწყობის გამო, ვინაიდან დაწესებულებას არ გააჩნია ისეთი სამართლო საკნები და სამედიცინო ნაწილის საკნები, სადაც არ არის დამონტაჟებული სათვალთვალო კამერები და მასში მოთავსებული პატიმრების მიმართ მეთვალყურეობის დაწესება ხდება ავტომატურად. ამასთან, N3 დაწესებულებაში კვლავ არის ე.წ. „უსაფრთხო საკნები“<sup>19</sup>, სადაც ხდება პატიმრების იზოლირება, ზოგ შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილებისა და ვადის მითითების გარეშე.

კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას სწორედ ე.წ. „დინამიკური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.<sup>20</sup>

<sup>19</sup> მათ შორის ე.წ. „ანტივანდალური საკანი“.

<sup>20</sup> United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22.

შემოწმების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N3 დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (განცალკევება, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა), რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებაში, ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნის მიღწევას. შედეგად, დაწესებულებაში რჩება დამაბული, კონფლიქტური სიტუაცია და თვითდაზიანების, ძალადობისა და აგრესიის გამოვლენის მაღალი რისკი.

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტიანია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან უზრუნველყოფილი იქნას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება
2. მოხდეს სამართლო საკნებში, ე.წ. „უსაფრთხო საკნებში“ და სამედიცინო ნაწილის საკნებში ნაწილში ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემების დემონტაჟი, რათა შესაძლებელი გახდეს მათში პატიმრების მოთავსება მეთვალყურეობის დაწესების გარეშე, თუ არ არსებობს ამის აუცილებელი საჭიროება
3. მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად

## 4. პატიმრობის პირობები

### 4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში საკნები განკუთვნილია 2 (10 მ<sup>2</sup>), 4 (15 მ<sup>2</sup>) და 6 (19.5 მ<sup>2</sup>) პატიმრის განთავსებისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულების 6 ადგილიანი საკნების უმეტესობა (11 საკანი) სრულად იყო დატვირთული, რაც არ შეესაბამება პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით დადგენილ ნორმებს.<sup>21</sup>

პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით. N3 დაწესებულების საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯრები, არის საკმაოდ მაღლა, კედელი არის დაახლოებით ნახევარი მეტრის სისქის, შესაბამისად, მზის სხივი საკანში დაუბრკოლებლად ვერ აღწევს. საკნებში არ არის სათანადო ბუნებრივი განათება და

<sup>21</sup> პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, 1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები, 1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები.



ვენტილაცია. საკნების ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია, ხოლო ხელოვნური სავენტილაციო სისტემა გამართულად არ მუშაობს; ფანჯრების ქვეშ დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის 2-2 გრძივი მილი; საკნების ავეჯს შეადგენს ორიარუსიანი რკინის საწოლები, რომელთაც არ აქვს კიბე მეორე იარუსზე ასასვლელად. საკნებში ასევე არის ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები; უმრავლეს საკნებში პატიმრებს აქვთ ტელევიზორი. საკნებში არის ცალკე გამოყოფილი, დაახლოებით 1.8 მ<sup>2</sup> ფართობის სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი, სადაც შხაპის მიღებაც შესაძლებელია; დაწესებულებაში არსებობს წყალმომარაგების პრობლემები. ძირითად საცხოვრებელ საკნებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

2014 წლის 23-24 ოქტომბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომ ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა საკნებში ხელოვნური ვენტილაციის სისტემის და წყალმომარაგების პრობლემის მოგვარების რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები არ შესრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ოქტომბერში განხორციელებული ვიზიტის დროს 4 და 6 ადგილიანი საკნები არ იყო სრულად დატვირთული, ხოლო 2015 წლის მაისის თვეში ასეთი საკნები სრულად იყო შევსებული. შესაბამისად, 6 ადგილიან საკნებში მოთავსებული პატიმრები არ არიან უზრუნველყოფილი 4 მ<sup>2</sup> სიდიდის პირადი ფართით.

#### **რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

1. მიიღოს ყველა საჭირო ზომა და უზრუნველყოს დაწესებულებაში სათანადო ხელოვნური ვენტილაცია
2. თითოეული პატიმარი უზრუნველყოს 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით

#### **4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები**

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს 9 სასეირნო ეზო. კენტი ნუმერაციის მქონე თითოეული სასეირნო ეზოს ფართობი შეადგენს დაახლოებით 37 მ<sup>2</sup>, ხოლო ლუწი ნუმერაციის ეზოების - დაახლოებით 26 მ<sup>2</sup>. ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია, შიგნით არის ხელოვნური განათება, დგას ხის გრძელი სკამები და ურნები, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები.

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში. რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც

გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს.

პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სოციალური მუშაკის მიერ მიწოდებული სერვისების გარდა, დაწესებულებაში ხელმისაწვდომი იყოს ფსიქოლოგის მომსახურებაც.<sup>22</sup> დაწესებულების სოციალურ განყოფილებაში დასაქმებულია ერთი ფსიქოლოგი.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგს, ექიმებს და ზოგადად დაწესებულების ადმინისტრაციას უჭირს იმ პატიმრებთან კომუნიკაცია, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, რაც აფერხებს ამ პატიმრებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების პროცესს. გარდა ამისა, პატიმართა განმარტებით, სოციალური სამსახურის თანამშრომლებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, ვერ ეხმარებიან მათ კორესპონდენციის დაწერა-გაგზავნასა და სხვა სამართლებრივი საკითხების გარკვევაში.

დაწესებულებაში პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად დაწესებულებაში არ არსებობს საკმარისი რესურსი. პრაქტიკულად შეუძლებელია ჯგუფური თერაპიის ჩატარება.

2015 წელს, N3 დაწესებულებაში 7-9 მაისს განხორციელებული მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ ამავე წლის იანვრის თვეში სოციალურმა განყოფილებამ ჩაატარა ტურნირი შაშში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 მსჯავრდებულმა. თებერვლის თვეში ჩატარდა ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 4 მსჯავრდებული და დაწესებულების სოციალური განყოფილების 2 თანამშრომელი. სახალხო დამცველი მიესალმება N3 დაწესებულებაში გარკვეული ღონისძიებების ჩატარების მცდელობას, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ორი ტურნირის ჩატარება ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებელ სოციალურ აქტივობად. შესაბამისად, აუცილებელია, მსჯავრდებულთა გამოკითხვის გზით მოხდეს მათთვის საინტერესო აქტივობების იდენტიფიცირება და შემდგომში ამ აქტივობების შეთავაზება, ასევე ამ აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად უნდა იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები.

აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ქართულთან ერთად შესაძლებელია რუსული, თურქული და სპარსული წიგნების მოპოვება. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკაში სჭარბობს საბჭოთა პერიოდისა და სულისკვეთების ლიტერატურა და არ არის თანამედროვე წიგნები.

დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსის განმარტებით, კვირაში ერთხელ დაწესებულებას უსასყიდლოდ გადაეცემა გაზეთ „ბათუმელების“ 10 ეგზემპლარი. სხვა ჟურნალ-გაზეთები დაწესებულებაში არ შედის.

---

<sup>22</sup> წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა სასჯელადსრულების დაწესებულებაში ფსიქოლოგის მომსახურების საჭიროებას ხაზი გაუსვა საქართველოში 2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, პარ. 97. ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm>

მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამასთან, ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

### 4.3. პატიმართა დასაქმება

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“<sup>23</sup> „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“<sup>24</sup> „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“<sup>25</sup>

2014 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულების სამეურნეო ნაწილში ირიცხებოდა 13 მსჯავრდებული, ხოლო 2015 წლის 7-9 მაისს ჩატარებული ვიზიტის დროს სამეურნეო ნაწილში დასაქმებული იყო 9 პატიმარი, ანუ დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ პატიმართა საერთო რაოდენობა გაიზარდა.

დაწესებულებაში დასაქმებული პატიმრები ძირითადად ასუფთავებენ, ალაგებენ, რეცხავენ თეთრეულს, არიგებენ პროდუქტსა და საკვებს და ახორციელებდნენ სხვა მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაშიც იღებდნენ შრომის ანაზღაურებას.

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში დაინერგოს და გაძლიერდეს სარეაბილიტაციო აქტივობები
2. სოციალური განყოფილების სამტატო ნუსხას დაემატოს ფსიქოლოგის ერთი სამტატო ერთეული
3. პატიმრები, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნან თარჯიმნის მომსახურებით

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების

<sup>23</sup> ციხის ევროპული წესები. 26.1-ე წესი;

<sup>24</sup> იქვე, 26.2-ე წესი;

<sup>25</sup> ციხის ევროპული წესები. 26.3-ე წესი;

სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები

2. მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლების უზრუნველსაყოფად; პერიოდულად განხორციელდეს ბიბლიოთეკის მომარაგება პრესით

3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში პატიმართა წახალისების პოლიტიკის გასაძლიერებლად

## 5. სამედიცინო მომსახურება

ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.<sup>26</sup>

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2014 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ არ შეცვლილა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად დაწესებულების მთავარი ექიმის პოზიციას იკავებს ექიმი პედიატრი, რაც პატიმართა უკმაყოფილებას იწვევს. დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დასაქმებულია მთავარი ექიმი, 1 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 3 მორიგე ექიმი, 4 მორიგე ექთანი, 1 ფარმაცევტი, 1 სტომატოლოგი, 1 ექთანი, რომელიც პასუხისმგებელია ტუბერკულოზის სკრინინგზე. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დღის განმავლობაში დაწესებულებაში იმყოფება მთავარი ექიმი, 1 პირველადი ჯანდაცვის ექიმი და 1 ექთანი.

არასაკმარისია დაწესებულებაში მოწვეულ ექიმ კონსულტანტთა ვიზიტების რეგულარულობა და სიხშირე. აღნიშნულის შესახებ საუბრობს ასევე დაწესებულების სამედიცინო პერსონალი. ექიმ-კონსულტანტთა მიერ განხორციელებული ბოლო ვიზიტების დრო, კონსულტირებულ და მოლოდინში მყოფ პატიმართა რაოდენობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

N	კონსულტანტის ვიზიტის თარიღი	კონსულტირებულ პატიმართა რაოდენობა	მოლოდინში მყოფ პატიმართა რაოდენობა
1.	კარდიოლოგი - 07.03.15/10.03.15	5	8
2.	ოტორინოლარინგოლოგი- 18.03.15/16/04/15	14	12
3.	პროქტოლოგი - 11.03.15/22.04.15	9	4
4.	ქირურგი - [ჩანაწერი არ იკითხება]	1	ინფორმაცია არ წარმოდგენია

<sup>26</sup> Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

5.	უროლოგი - 16.03.15/23.04.15	31	ინფორმაცია არ წარმოდგენილია
6.	ინფექციონისტი - 08.03.15/16.03.15/17.04.15	12	42
7.	ნევროპათოლოგი - 18.03.15/24.04.15	21	56
8.	ფსიქიატრი- 24.04.15/29.04.15/30.04.15/01.05.15/02.05.15/07.05.15	35	ინფორმაცია არ წარმოდგენილია
9.	ფთიზიატრი - 24.04.15/04.05.15	17	8

დამატებით, რენტგენოგრაფიის ჩატარებას 27, სისხლის საერთო ანალიზის ჩატარებას 16, ენდოკრინოლოგის კონსულტაციას 9, ალერგოლოგის კონსულტაციას 3, ონკოლოგის კონსულტაციას 2, ტრავმატოლოგის კონსულტაციას 3, ანგიოლოგის კონსულტაციას 7, ოკულისტის კონსულტაციას 31, ნარკოლოგის კონსულტაციას 13 და დერმატოლოგის კონსულტაციას 16 პაციმარი ელოდა. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ ექიმ-კონსულტანტთა მიერ 2015 წელს კონსულტაციის ჩატარების ფაქტი N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ დასტურდება.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში 1 იანვრიდან 6 მაისის ჩათვლით გაყვანილი იყო 58 პაციმარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ამავე პერიოდში თვითდაზიანების 87 ფაქტი დაფიქსირდა, შესაბამისად, ხშირი იყო სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში პაციმართა გადაყვანა თვითდაზიანების გამო. ზემოაღნიშნულ პერიოდში სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანილ იქნა 17 პაციმარი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, 2014 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღნიშნული იყო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა. კერძოდ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მძიმე იყო ექიმთა და განსაკუთრებით ექთნების სამუშაო პირობები. მთელი დღის განმავლობაში მთელ დაწესებულებას ემსახურებოდა პირველადი ჯანდაცვის მხოლოდ ერთი ექიმი და ერთი ექთანა. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდებოდა ექიმის მიერ პაციენტთა სრულფასოვანი მომსახურება სამედიცინო ნაწილში, პაციმართა ძირითად საცხოვრებელ საკნებში და ამასთან, სამედიცინო დოკუმენტაციის სრულფასოვნად წარმოება. ამავე ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებული იყო ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მანკიერი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც იმისათვის, რომ პაციმარს მიეღო საჭირო სამედიცინო მომსახურება, იგი წერდა განცხადებას სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ და გადასცემდა დაწესებულების მორიგე კონტროლიორს. ამ უკანასკნელს დღის განმავლობაში შეგროვებული განცხადებები მიჰქონდა კანცელარიაში, საიდანაც განცხადებები, რეგისტრაციის შემდგომ, ეგზავნებოდა დაწესებულების ექიმს. მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში მიჰქონდა მორიგე კონტროლიორს განცხადება კანცელარიაში დაუყოვნებლივ, თუმცა გაუგებარია, როგორ უნდა მოეხდინა სამედიცინო განათლების არმქონე მორიგე კონტროლიორს შემთხვევის გადაუდებლობის განსაზღვრა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ზემოთ აღწერილი პროცედურა ქმნიდა დამატებით ბარიერს სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, ამასთან არღვევდა კონფიდენციალურობის პრინციპს. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა, აღმოფხვრილიყო აღნიშნული მანკიერი პრაქტიკა, ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი ყოფილიყო დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით, ასევე დაცული ყოფილიყო კონფიდენციალურობის პრინციპი. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა, ვინაიდან ხსენებული მანკიერი პრაქტიკა დაფიქსირა 2015 წლის 7-9 მაისის მონიტორინგის დროსაც.

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა დაწესებულებაში შტატით გათვალისწინებული სამედიცინო და დამხმარე პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემა. პატიმართა საჩივრების უმეტესობა სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხებოდა. პატიმრები უთითებდნენ დაწესებულების სამედიცინო პერსონალის, განსაკუთრებით კი, მთავარი ექიმის უყურადღებობაზე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2014 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო წარმოების უზრუნველსაყოფად, სათანადოდ დაკომპლექტებულიყო დაწესებულების სამედიცინო პერსონალი და განსაზღვრულიყო გონივრული სამუშაო განრიგი. სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა. დაწესებულებაში შტატით გათვალისწინებული ექიმების და ექთნების რაოდენობა და მუშაობის გრაფიკი უცვლელი რჩება.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა სამედიცინო მომსახურების ორგანიზების თვალსაზრისით არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს შესწავლილი რამდენიმე შემთხვევა. კერძოდ, პატიმარ ნ.მ.-ს აქვს გულყრები. ნევროპათოლოგმა პატიმარს რამდენჯერმე გაუწია კონსულტაცია. დიაგნოზის დაზუსტების მიზნით რეკომენდებულია კომპიუტერული ტომოგრაფიის და ელექტრო ენცეფალოგრამის ჩატარება. მთავარი ექიმის განმარტებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა უარი განაცხადა პატიმრის სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გამოკვლევის ჩატარების მიზნით გაყვანის შესახებ მოთხოვნის დარეგისტრირებაზე. მთავარი ექიმის განცხადებით, ის აპირებს კვლავ მიმართოს მოთხოვნით სამედიცინო დეპარტამენტს. აქვე აღსანიშნავია, რომ ნ.მ.-მ მიიყენა თვითდაზიანება და ნაკერი ჭრილობაზე მხოლოდ მეორე დღეს დაედო.

პატიმარ ა.ჩ.-ს სამედიცინო ბარათში მოიპოვება აქტი, რომლის თანახმადაც პატიმარმა უროლოგის და პროქტოლოგის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიღებაზე უარი განაცხადა. აქტი არ არის მითითებული მიზეზი; არ არის ხელმოწერილი პატიმრის მიერ და არ არის დათარიღებული.

2014 წლის 24 აპრილს ჩატარებული კონსულტაციის დროს ნევროპათოლოგმა პატიმარ მ.გ.-სთვის ფსიქიატრის კონსულტაციის რეკომენდაცია გასცა. პატიმარს კონსულტაცია 9 მაისის მდგომარეობით ჩატარებული არ ჰქონდა და ეს მაშინ, როცა 24 აპრილის შემდგომ ფსიქიატრს დაწესებულებაში განხორციელებული ჰქონდა 5 ვიზიტი.

მონიტორინგის ჯგუფმა ინფექციის კონტროლის კუთხით გამოავლინა ერთი საყურადღებო ფაქტი. კერძოდ, ერთ-ერთ პატიმარს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, 2015 წლის 18 მარტს ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ტუბერკულოზი მგბ (+). მსჯავრდებული

გადაყვანილ იქნა სასჯელადსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში (N19 დაწესებულება), სადაც განმეორებით ჩაუტარდა გამოკვლევა და დადგინდა ტუბერკულოზი მგბ (-). ამის შემდგომ პატიმარი ისევ დააბრუნეს სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში. სასჯელადსრულების N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალი მაღალი ალბათობით ვარაუდობს, რომ პატიმარს აქვს ტუბერკულოზის ბაქტერიაგამომყოფი ფორმა (მგბ +), ვინაიდან აშკარად არის გამოხატული შესაბამისი სიმპტომები. დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, აუცილებელია გამოკვლევების ხელახლა ჩატარება, რათა დადგინდეს ზუსტი დიაგნოზი. აღსანიშნავია, რომ პატიმარი საკანში სხვა პატიმრებთან ერთად არის მოთავსებული, რაც ქმნის ინფექციის გავრცელების მაღალ რისკს. აუცილებელია აღნიშნული პატიმრის იზოლირება, ვიდრე შესაბამისი გამოკვლევებით არ გამოირიცხება ტუბერკულოზის ბაქტერიაგამომყოფი ფორმით დაავადების ფაქტი.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა სამედიცინო ბარათებიდან ამოიწერეს დანიშნული სხვადასხვა მედიკამენტის ნუსხა. ამ მედიკამენტების დაწესებულებაში არსებობის ფაქტი გადამოწმდა წამლების სამარაგოში. შემოწმების შედეგები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	მედიკამენტი	მარაგი	შემცვლელი	მოთხოვნილი
1.	„პერინდოპრილი“	არის		
2.	„ტრიმეტაზიდინი“	არ არის		არ არის
3.	„იბუპროფენი“	არის		
4.	„გრანდაქსინი“	არის		
5.	„დეპაკინი“	არის		
6.	„ნეიროლეპსინი“	არის		
7.	„ფერამოლი“	არ არის	„ლუცეტამი“	არ არის
8.	„ციპროფლოქსაცილინი“	არის		
9.	„ატარაქსი“	არის		
10.	„უროპიმიდი“	არ არის	„პალინი“	არ არის
11.	„სალოვერი“	არ არის	რამდენიმე შემცვლელი	არ არის
12.	„პროსტამოლ-უნო“	არ არის	„ადენორიცი“	
13.	„ცისტინი“	არის		
14.	„ადენორიცი“	არის		
15.	„ვიტა პროსტი“ (სანთელი)	არ არის		არ არის <sup>27</sup>
16.	„ორამინ F“	არის		
17.	„ოტიპაქსი“	არის		
18.	„პროქტოგლივენოლის მალამო“	არის		
19.	„რელიფის სანთლები“	არ არის		არის
20.	„ვენორიცი“	არის		
21.	„ბიოპაროქსი“	არ არის		არის
22.	„დეკატილენი“	არის		
23.	„ფლატონი“	არ არის		არ არის

<sup>27</sup> იწერენ ინდივიდუალურად.

24.	„ტაიქოლდი“	არის		
25.	„აზიმაკი“	არის		
26.	„სუპრასტინი“	არის		
27.	„რეგენიუმი“	არის		
28.	„ფურაცილინის ხსნარი“	<b>არ არის</b>	„რივანოლის ხსნარი“	<b>არ არის</b>
29.	„დენოლი“	არის		
30.	„ტებანტინი“	<b>არ არის</b>	„გაბაპენტინი“	
31.	„სედალონი“	არის		
32.	„ესენციალე“	<b>არ არის</b>	„კარსილი“ „რეზალუტი“	არის
33.	„ტრენტალი“	არის		
34.	„ცისტონი“	არის		
35.	„ომეპრაზოლი“	არის		
36.	„ზანტაკი“	<b>არ არის</b>	„რანიტიდინი“	<b>არ არის</b>
37.	„ვიტამინი C“	არის		

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, დაწესებულებაში არ იყო რამდენიმე დასახელების მედიკამენტი. აქვე აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან არ იყო მოთხოვნილი რამდენიმე დასახელების მედიკამენტი, რომელიც ექიმის მიერ კონკრეტული პაციენტისთვის იყო დანიშნული და დაწესებულებაში არ მოიპოვებოდა.

გაირკვა, რომ პაციენტები ხშირად აპროტესტებენ ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტის ჩანაცვლებას. როგორც ფარმაცევტმა განმარტა, ექიმი-კონსულტანტები ინფორმირებული არიან დაწესებულებაში არსებული მედიკამენტების ნუსხის შესახებ, მაგრამ რიგ შემთხვევებში ისინი ისეთ მედიკამენტს ნიშნავენ, რომელიც დაწესებულებაში არ აქვთ.<sup>28</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ არ ხდება სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების მედიკამენტებით სათანადო მომარაგება.

აქვე დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წამლების სამარაგოს განსათავსებლად გამოიყო სათანადო ფართი, დაწესებულების ფარმაცევტს გადაეცა კომპიუტერი და შეექმნა ადეკვატური სამუშაო გარემო, თუმცა სამწუხაროდ, არ არის შესრულებული სახალხო დამცველის არსებითი ხასიათის რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების მედიკამენტებით დროული მომარაგების უზრუნველყოფის შესახებ.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში კვლავ პრობლემად რჩება სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება. 2014 წლის 23-24 ოქტომბერს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებაში კონსულტაციის შესახებ დოკუმენტაციის წარმოება არსებითი ხარვეზებით მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სამედიცინო ბარათების ერთიანობა დარღვეულია, რაც ქმნის სამედიცინო ჩანაწერების დაკარგვის საფრთხეს, ასევე რიგ შემთხვევებში ჩანაწერებში არ არის მითითებული, რომელი ექიმ-კონსულტანტის მიერ იქნა

<sup>28</sup> აღნიშნული მოიცავს როგორც მედიკამენტებს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხით, ასევე ბრენდული სახელწოდების მედიკამენტებს.



პატიმარი კონსულტირებული და არც კონსულტაციის თარიღია აღნიშნული. შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში არ ხდება სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება, რამაც შესაძლოა სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის პრინციპის დარღვევა გამოიწვიოს.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გადაყვანილი იქნა 2 პატიმარი.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დაწესებულებებში, კვლავ პრობლემურია ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდების საკითხი. სამწუხაროდ, ისევ აქვს ადგილი ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა სამართლო საკანში მოთავსებას.

#### **გ.მ.-ს საქმე**

2015 წლის პირველი 4 თვის მანძილზე ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავრდებულს 5-ჯერ დაეკისრა დისციპლინური სახდელი, ამათგან 2 შემთხვევაში პატიმარი სამართლო საკანში მოათავსეს<sup>29</sup>.

#### **ნ.თ.-ს საქმე**

პატიმარს აქვს პერსონოლოგიური აშლილობა, თუმცა 2015 წლის პირველი 4 თვის მანძილზე 3 ჯერ დაეკისრა დისციპლინური სახდელი, მათ შორის ერთ შემთხვევაში სამართლო საკანში მოათავსება.<sup>30</sup>

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მუშაობს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფი. 2015 წლის 1 იანვრიდან 9 მაისის ჩათვლით სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული იყო სულ 7 პატიმარი, ხოლო 9 მაისის მდგომარეობით 4 პატიმარი. აღნიშნულ პერიოდში დაწესებულებაში დაფიქსირდა სუიციდის მცდელობის 1 ფაქტი.

#### **რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

1. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო წარმოების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს სამედიცინო პერსონალის სათანადო დაკომპლექტება და გონივრული სამუშაო განრიგის განსაზღვრა
2. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები

<sup>29</sup> ერთ შემთხვევაში განსაზღვრული ქონდა 10 დღით, მეორე შემთხვევაში 5 დღით სამართლო საკანში მოთავსება.

<sup>30</sup> განესაზღვრა 5 დღით სამართლო საკანში მოთავსება.

3. აღმოფხვრას პატიმრის მიერ წერილობითი განცხადებით სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის მანკიერი პრაქტიკა, პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით, ასევე დაცული იქნას კონფიდენციალურობის პრინციპი
4. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების ბაზისური მედიკამენტების ნუსხით გათვალისწინებული და დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მოთხოვნილი სხვა მედიკამენტებით დროული მომარაგება
5. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისა და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად
6. უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება

## 6. კვება და სასმელი წყალი

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დადგენილია ერთი ძირითადი მენიუ, ამასთან არის მენიუ ქალი პატიმრებისთვის და ორი სახის დიეტური მენიუ ღვიძლით და კუჭ-ნაწლავის პრობლემებით დაავადებული მსჯავრდებულებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის ბრძანების მე-14 მუხლში დამატებით განსაზღვრულია დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი პატიმრებისათვის, კუჭ-ნაწლავის დაავადების მქონე, ასევე სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პოსტოპერაციულ მსჯავრდებულთათვის. ამავე მუხლში ასევე მითითებულია, რომ პაციენტებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას, ექიმის დანიშნულების შესაბამისად შეიძლება შეეცვალოს ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას საკვების ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება. ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნების სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში სრულად დაცული არ არის. დაწესებულებაში არ არის მენიუ დიაბეტით დაავადებული პატიმრებისთვის.

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადა. დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა გამოკითხული პატიმრების ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს საკვების, განსაკუთრებით კი დიეტური საკვების გემოსთან დაკავშირებით, რის გამოც უარს ამბობენ დიეტური საკვების მიღებაზე. გარდა აღნიშნულისა, საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები და ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე.

პატიმრების უკმაყოფილებას დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირე იწვევს. მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიმართ, მაღაზიის სათანადო მომარაგების პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

N3 დაწესებულებას წყალი მიეწოდება გრაფიკით, დღის საათებში. პატიმრები აღნიშნულ წყალს სასმელადაც იყენებენ, თუმცა ზოგიერთი მსჯავრდებულის განმარტებით, წყალს ნალექი და თავისებური გემო აქვს.

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. სრულად იქნას დაცული „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები
2. საკვების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებები
3. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება.
4. უზრუნველყოფილ იქნას N3 დაწესებულის სათანადო ხარისხის წყლით უწყვეტი მომარაგება

## 7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ციხის ევროპული წესების თანახმად, დისციპლინური სახდელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.<sup>31</sup> ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.<sup>32</sup> ნებისმიერი სახდელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროპორციული.<sup>33</sup> აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სახდელები.<sup>34</sup> ამასთან, დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.<sup>35</sup>

განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 6 მაისის ჩათვლით პატიმართა მიმართ

<sup>31</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 56.1

<sup>32</sup> იქვე წესი 56.2

<sup>33</sup> იქვე წესი 60.2

<sup>34</sup> იქვე წესი 60.3

<sup>35</sup> იქვე წესი 60.4

გამოყენებულ იქნა 116 დისციპლინური სახდელი, მათ შორის სამარტოო საკანში მოთავსება, საყვედური, სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა, კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა, პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

სამარტოო საკანში მოთავსება	ტელეფონის შეზღუდვა	საყვედური	ამანათის შეზღუდვა	პაემნის შეზღუდვა	პ/ზასიათის კორესპონდენციის შეზღუდვა	მაღაზიის შეზღუდვა	სულ
44 (37,9 %)	22 (18,9 %)	34 (29,3 %)	3 (2,6 %)	6 (5,2 %)	3 (2,6 %)	4 (3,5 %)	116

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ბოლო ოთხი თვის მანძილზე N3 დაწესებულებაში გამოყენებული დისციპლინური სახდელების რაოდენობა შეადგენდა 62-ს, ხოლო 2015 წლის პირველ ოთხ თვეში ამ ციფრმა 111 შეადგინა, რაც პირდაპირ მიუთითებს მიმდინარე წელს დისციპლინური სახდელების გამოყენების მკვეთრი ზრდის ტენდენციაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის დისციპლინური სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს. 2015 წლის 1 იანვრიდან 6 მაისის ჩათვლით N3 დაწესებულებაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი იყო: დაწესებულების თანამშრომლისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, საკნიდან საკანში გადაძახილი, დილის შემოწმებაზე საკნიდან გამოსვლაზე უარი, ყვირილი, გინება, თვითდაზიანების მუქარა და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პრაქტიკაში ნებისმიერი ზემოაღნიშნული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში გამოიყენება როგორც სამარტოო საკანში მოთავსება, ისე საყვედური, ამანათის, პაემნის, ტელეფონის შეზღუდვა და სხვა სახდელები. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დისციპლინური სახდელების დაკისრებისას N3 დაწესებულების ადმინისტრაცია ყველაზე ხშირად იყენებს სამარტოო საკანში მოთავსებას,<sup>36</sup>

სამარტოო საკნის გამოყენების შესახებ 2007 წლის სტამბულის განცხადების შესაბამისად<sup>37</sup>, სამარტოო საკნის გამოყენება სრულად უნდა აიკრძალოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმრებთან. სამწუხაროდ, N3 დაწესებულებაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა.

## გ.მ.-ს საქმე

<sup>36</sup> 2015 წლის იანვრიდან 6 მაისამდე, 116 დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევიდან 44 შემთხვევაში გამოყენებული იქნა სამარტოო საკანში მოთავსება

<sup>37</sup> International Psychological Trauma Symposium (2007), The Istanbul Statement on the use and effects of solitary confinement

2015 წლის პირველი 4 თვის მანძილზე ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავრდებულს 5-ჯერ დაეკისრა დისციპლინური სახდელი, ამათგან ორ შემთხვევაში პატიმარი მოთავსებულ იქნა სამარტოო საკანში<sup>38</sup>.

## ნ.თ.-ს საქმე

პატიმარს აქვს პერსონოლოგიური აშლილობა, თუმცა 2015 წლის პირველი 4 თვის მანძილზე სამჯერ დაეკისრა დისციპლინური სახდელი, მათ შორის ერთ შემთხვევაში სამარტოო საკანში მოთავსება.<sup>39</sup>

ვიზიტის ფარგლებში პატიმართა გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ სამარტოო საკანში შესახლებულ პირებს არ ატანენ არც პირადი ჰიგიენის ნივთებს (კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა), არც გამოსაცვლელ ტანსაცმელს. სამარტოო საკანში ყოფნის პერიოდში არ ხდება მათი ტანსაცმლის ან თეთრეულის გარეცხვა.

მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა N3 დაწესებულებაში არსებული 4 სამარტოო საკანი. მათი ფართობებია: 7 მ<sup>2</sup>, 6.3 მ<sup>2</sup>, 5.8 მ<sup>2</sup> და 6 მ<sup>2</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ საკნებში არის საკმაოდ ცუდი პირობები. სამარტოო საკანში ბეტონის იატაკზე დამონტაჟებულია პატარა მაგიდა და სკამი, კედელზე დამაგრებულია საწოლი, იქვეა ღია ტიპის სანიტარული კვანძი. თითოეულ საკანში არის ერთი 0.2 მ<sup>2</sup> ზომის ფანჯარა, რომლებსაც არ აქვს სახელური. სამარტოო საკნებში არსებული ხელოვნური სავენტილაციო სისტემა და ფანჯრები ვერ ახდენენ საკნების ნორმალურ ვენტილაციას, რის გამოც საკნებში არის ჟანგბადის ნაკლებობა. ფანჯრები ისეთ სიმაღლეზეა, რომ ადამიანი დამოუკიდებლად ვერ მოახერხებს მის გახსნა/დაკეტვას. პატიმართა განმარტებით, სამარტოო საკანში შესახლებისას ფანჯრები დაკეტილი ხვდებათ და დაწესებულების თანამშრომლები არც მოთხოვნის შემთხვევაში აღებენ ფანჯრებს.<sup>40</sup>

2014 წლის 23-24 ოქტომბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა როგორც ამავე დაწესებულების დირექტორს, ისე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. უზრუნველყოს სამარტოო საკანში ადამიანის ღირსებასთან შესაბამისი პირობები და სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმართა მიერ კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით შეუფერხებელი სარგებლობა.

<sup>38</sup> ერთ შემთხვევაში განსაზღვრული ქონდა 10 დღით და მეორე შემთხვევაში 5 დღით სამარტოო საკანში მოთავსება.

<sup>39</sup> განესაზღვრა 5 დღით სამარტოო საკანში მოთავსება.

<sup>40</sup> თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სამარტოო საკანში არსებული ფანჯრები ღია იყო, რაზეც პატიმრებმა განმარტეს, რომ აღნიშნული დაკავშირებული იყო სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტთან.

2. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამართლო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მომეტებული პრაქტიკა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად.
2. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, სამართლო საკანებში ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო პირობებში პატიმართა მოთავსების შემთხვევები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ზომები.
3. მიიღოს სათანადო ზომები, რათა სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრის ექიმის მიერ მონახულება ხდებოდეს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სახალხო დამცველის არცერთი ზემოაღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

პატიმრობის კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები. გადაწყვეტილებას, პატიმრის წახალისების შესახებ იღებს დაწესებულების დირექტორი. წახალისების სახით შესაძლებელია გამოცხადდეს მადლობა, დაემატოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემანი, მოეხსნას საყვედური ან სხვა დისციპლინური სახდელი და ა.შ.

2014 წლის ბოლო 4 და 2015 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში პატიმართა წახალისების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

	2014 წელი		2015 წელი
სექტემბერი	20	იანვარი	6
ოქტომბერი	29	თებერვალი	13
ნოემბერი	47	მარტი	13
დეკემბერი	30	აპრილი	5
სულ	126	სულ	37

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ N3 დაწესებულებიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად<sup>41</sup>, 2014 წლის ბოლო 4 თვის მანძილზე დაწესებულებაში დაფიქსირდა წახალისების 126 შემთხვევა. ზემოთ მითითებული მონაცემების შედარების საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ 2015 წელს, პირველ 4 თვეში წახალისების შემთხვევები გაცილებით ნაკლებია ვიდრე წინა პერიოდში.

<sup>41</sup> სახალხო დამცველის აპარატში შემოსული წერილი – 2014 წლის 26 იანვარი N881/15 – MCLA 0 15 00084 241

2015 წელს წახალისების ფორმით, პატიმრებს დაწესებულების დირექტორის მხრიდან გამოეცხადათ მადლობა, მიეცათ დამატებით ხანმოკლე/ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, ერთჯერადი სატელეფონო საუბრის უფლება, ზოგ მათგანს ვადაზე ადრე მოეხსნა დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია პატიმართა ხშირი წახალისება, რაც ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას.

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. განხორციელდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ცვლილებები N3 დაწესებულებაში პატიმართა საცხოვრებელ საკნებში არსებული ფანჯრების ზომის გაზრდის მიზნით, რათა საკნები უზრუნველყოფილ იქნას ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციითა და განათებით
2. გაიმართოს საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემის ფუნქციონირება
3. სამართლო საკნებში არსებულ ფანჯრებს დაუმონტაჟდეს სახელურები, რათა პატიმარმა მისი სურვილის მიხედვით გააღოს/დაკეტოს ფანჯარა
4. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მომეტებული პრაქტიკა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად
5. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, სამართლო საკნებში ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო პირობებში პატიმართა მოთავსების შემთხვევები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ზომები
6. მიიღოს სათანადო ზომები, რათა სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრის ექიმის მიერ მონახულება ხდებოდეს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. უზრუნველყოს სამართლო საკანში ადამიანის ღირსებასთან შესაბამისი პირობები და სამართლო საკანში მოთავსებულ პატიმართა მიერ კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით შეუფერხებელი სარგებლობა
2. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამართლო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში
3. სამართლო საკნებში მოთავსებულ პატიმრებს მიეწოდოთ, როგორც პირადი ჰიგიენის ნივთები, ისე ტანსაცმელი
4. უზრუნველყოფილ იქნას სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრების ტანსაცმლისა და თეთრეულის გარეცხვა

5. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამართლო საკნებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მოთავსების საკითხს; გაძლიერდეს ამ კუთხით დაწესებულების სამედიცინო პერსონალთან კომუნიკაცია

## 8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.<sup>42</sup>

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 79-ე პუნქტი მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი იქ განთავსება შეუძლებელია დაწესებულების გადატვირთულობის გამო. გამონაკლის შემთხვევაში, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის გამო, პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან/და მისი თანხმობის შემთხვევაში შეიძლება გადაყვანილი იქნას სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების მიერ პაემნის უფლების განხორციელებას ხელს უშლის მათი განთავსების დროს საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. N3 დაწესებულებაში პაემნის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს ექმნებათ. მათ ასევე პრობლემები აქვთ ადვოკატთან შეხვედრის კუთხით.

ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული მონაცემების ანალიზის თანახმად, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მოთავსებული 104 მსჯავრდებულიდან 47-ის ფაქტობრივ მისამართად მითითებულია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქი და მუნიციპალიტეტი. აღნიშნული 104 მსჯავრდებულიდან 18 მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში. ამასთან, ზემოთ ხსენებული 47 მსჯავრდებულიდან, რომელთა საცხოვრებელი ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს, 7 მსჯავრდებულს დადგენილი აქვს სასჯელის მოხდა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში.

<sup>42</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „რეზოლუციური“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37



2015 წლის 1 იანვრიდან 9 მაისამდე სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებიდან აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გადაყვანილი იქნა 20 პატიმარი და აქედან მხოლოდ 7 შემთხვევაში იქნა გათვალისწინებული პატიმრის საცხოვრებელი ადგილი. დამატებით, 5 ქალი პატიმარი გადაყვანილ იქნა სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. 2015 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით N3 დაწესებულებაში 141 ხანმოკლე პაემანი განხორციელდა. თუ გავითვალისწინებთ N3 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ ხანმოკლე პაემნით სარგებლობის პრაქტიკას, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების დაახლოებით მესამედი სარგებლობს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით. N3 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის განმავლობაში პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	ხანმოკლე პაემანი
1	იანვარი	28
2	თებერვალი	30
3	მარტი	44
4	აპრილი	39

N3 დაწესებულებაში განხორციელებული ხანმოკლე პაემნების რაოდენობას თუ შევადარებთ მსგავსი ტიპის დაწესებულებაში განხორციელებული პაემნების რაოდენობას, ნათელი იქნება, რომ N3 დაწესებულებაში განხორციელებული პაემნების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მაგალითად, 2015 წლის იანვრის თვეში სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში, სადაც სულ 65 მსჯავრდებული იყო მოთავსებული განხორციელდა 43 ხანმოკლე პაემანი. მაშინ, როდესაც N3 დაწესებულებაში სადაც თითქმის ორჯერ მეტი მსჯავრდებული<sup>43</sup> და 64 ბრალდებული იყო მოთავსებული, მხოლოდ 28 ხანმოკლე პაემანი განხორციელდა.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების რეკომენდაციით<sup>44</sup> საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა

<sup>43</sup> 108 მსჯავრდებული, სულ 172 პატიმარი.

<sup>44</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ; იხ. ბმული: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb.page>;

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში გვ. 184-202 იხ. ბმული: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf>

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს. თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა და კვლავ პრობლემად რჩება იმ პატიმრების N3 დაწესებულებაში მოთავსება, რომელთა ოჯახებიც აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობენ.

ევროპული ციხის წესების 24.4. მუხლის თანახმად, პაემნების ორგანიზება ისე უნდა მოხდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინიმუმ გადატიხრულ ოთახებში. ასეთ შემთხვევაში, პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

2015 წლის იანვრიდან აპრილის თვის ჩათვლით N3 დაწესებულებაში 11 ხანგრძლივი პაემანი განხორციელდა. პაემნების განხორციელების სტატისტიკა თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	ხანგრძლივი პაემანი
1	იანვარი	2
2	თებერვალი	5
3	მარტი	2
4	აპრილი	2

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა.

N3 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ტელეფონის აპარატებით, რომლებიც განთავსებულია დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში. დარეკვის დროს საუბარს ყოველთვის ესწრება მორიგე თანამშრომელი, რითაც ირღვევა პირადი საუბრის კონფიდენციალურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულებს სატელეფონო ბარათებთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებათ. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება, შესაბამისად აღარ აქვს დამატებითი სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება და იძულებულია შეიძინოს ახალი ბარათი, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სატელეფონო ბარათი იბლოკება, თუ პატიმარი ბარათით განხორციელებული სატელეფონო ზარების ფარგლებში ვერ მოახერხებს საუბარს (სატელეფონო კავშირის გაწყვეტის, არასწორი ნომრის აკრეფის ან სხვა მიზეზების გამო). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუდმივად არის სატელეფონო ბარათების დეფიციტი, რაც ხელს უშლის პატიმრებს შეუზღუდავად ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა განხორციელდა 22 შემთხვევაში<sup>45</sup>. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც პატიმრები ვერ სარგებლობენ კუთვნილი პაემნის უფლებით, ტელეფონით საუბრის უფლების შეზღუდვა მიზანშეწონილი არ არის. ამის საპირისპიროდ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები პატიმრების გადაყვანა მოხდება ოჯახთან ახლოს, აუცილებელია, საგანგებო ზომის სახით, პატიმრებს მიეცეთ დამატებითი სატელეფონო საუბრის განხორციელების შესაძლებლობა.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

1. უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
2. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას პატიმრებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სატელეფონო საუბრებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება
3. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა
4. N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები, რომელთა ოჯახი ცხოვრობს ან/და საქმის სასამართლო განხილვა მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, გადაყვანილ იქნან აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე შესაბამისი ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში
5. ტელეფონების აპარატები განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შეეძლება დაწესებულების თანამშრომლის მოსმენის გარეშე განახორციელოს ზარი

<sup>45</sup> 2015 წელს, N3 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების საერთო სტატისტიკაში ტელეფონით საუბრის უფლების შეზღუდვის ხვედრითი წილი შეადგენს 18,9 %-ს.

## 9. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სხვა საკითხები

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის მიმდინარეობისას მთელი რიგი სხვა პრობლემებიც გამოვლინდა. კერძოდ, გაირკვა, რომ საცხოვრებელ საკნებში განცალკევებით არ არიან მოთავსებულნი ბრალდებულები და მსჯავრდებულები. პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „პატიმრობის დაწესებულებაში განთავსებული არიან ბრალდებულები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან/და შერეული ტიპის დაწესებულების არსებობის შემთხვევისა. შერეული ტიპის დაწესებულებაში ბრალდებულები იზოლირებული უნდა იყვნენ მსჯავრდებულებისაგან, როგორც მინიმუმ, ერთმანეთისაგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართებით.“

პატიმართა განმარტებით, დაწესებულებაში ჰიგიენის ნივთების მიწოდებას მხოლოდ ერთჯერადი ხასიათი აქვს, აღნიშნული ხორციელდება შესახლების დროს. სასჯელის მოხდის განმავლობაში, პერიოდულად არ ხდება ჰიგიენის ნივთების მიწოდება<sup>46</sup>. პატიმრები ვერ სარგებლობენ საპარიკმახერო მომსახურებით დაწესებულებაში<sup>47</sup>, აქვთ მხოლოდ 1 თმის საჭრელი აპარატი, რითაც სარგებლობს ყველა პატიმარი, რაც ინფექციის გავრცელების რისკ ფაქტორს წარმოადგენს.

ვიზიტისას მონიტორინგის ჯგუფის წევრებს შეხვდათ პატიმრები, რომლებსაც სხვა პატიმრების შარვლები ეცვათ<sup>48</sup>. ამასთან დაკავშირებით, პატიმართა უმრავლესობამ განმარტა, რომ დაწესებულებაში შესახლების დროს დაწესებულების ადმინისტრაციამ მათ ჩამოართვა კუთვნილი ტანსაცმელი (ქუდიანი მაისურები და ჯინსები) და დარჩნენ გამოსაცვლელი ტანსაცმლის გარეშე. ადმინისტრაცია არ აწვდის მათ ტანსაცმელს მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს არა აქვს პირადი ტანსაცმელი, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით, რომელიც თავისი ფორმით არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

<sup>46</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №87-83/ნ; თავი: პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესახებ, მუხლი 3, ნაწილი 1, პუნქტი „ბ“: დაწესებულებაში მყოფ პირთა სათავსების არქიტექტურულ-ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა და აღჭურვა უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, პირადი ჰიგიენის დაცვის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობის შესაძლებლობას ადამიანის პატივისა და ღირსების შეუღალავად, რაც გულისხმობს: ბ) პირადი ჰიგიენის წესების (ხელ-პირის დაბანა, პირის ღრუს ჰიგიენური დამუშავება, სხეულის დაბანა არანაკლებ კვირაში ერთხელ, საპარიკმახერო მომსახურება: პირის გაპარსვა, თმის შეჭრა, ფრჩხილის დაჭრა) შესრულებისათვის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ცენტრალიზებულ ქსელთან მიერთებული, შესაბამისად აღჭურვილი სანიტარიულ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით და ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი) უზრუნველყოფას.

<sup>47</sup> პატიმრობის კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, როგორც წესი, ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, ასევე საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ.

<sup>48</sup> აღნიშნული ამკარა შესამჩნევი იყო მაღალი პატიმრების შემთხვევებში, რომლებსაც ეცვათ საკმაოდ ვიწრო ან მოკლე შარვალი.

რეკომენდაცია სასჯელადსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. N3 დაწესებულებაში განხორციელდეს ბრალდებულთა იზოლირება მსჯავრდებულებისაგან, როგორც მინიმუმ, ერთმანეთისაგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართებით
2. N3 დაწესებულებაში პერიოდულად განხორციელდეს პატიმართა მომარაგება საჭირო ჰიგიენური ნივთებით
3. უზრუნველყოფილ იქნას პატიმართა მომარაგება სეზონის შესაფერისი ტანსაცმლით
4. N3 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას საპარაკმახერო მომსახურება